ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 337

“21” ივლისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაჟა-ფშაველას №34-ისთვის“ (ს/ნ. 405541962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაჟა-ფშაველას №34-ისთვის“ (ს/ნ 405541962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 19 ივლისის №23.1070.1190 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზზე მონიშნული 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.018.078) პირდაპირი განკარგვის წესით „ვაჟა-ფშაველას №34-ისთვის“ (ს/ნ. 405541962) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6 960 (ექვსი ათას ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე